სტამბა და რედაქცია
ტფილისი, სასახლის ქ.,
სათ.-აზნაურო ქარვასლა.
ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიმართავენ რედაქციის დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—7 დი „წ. კ. საზ." წიგნის მაღაზიას.
ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.
პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთის თვით 60 კაპ.
ცალკე ნომერი 3 კაპიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцели"
Тифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства.
Телефонъ № 363.

ქალ-ვაჟთა სკოლა
## ელენე ლუკას ასულის ბახტაძისა
დ. ხონში
პირველ სექტემბრიდამ ამა 1898 წლისა, ნება-რთვით ბ. კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველისა, გადაკეთებულ იქმნება ოთხ-კლასიან
## საქალებო პროგიმნაზიად
მოსწავლეთა გამოცდა უმცროსს და უფროსს მოსამზადებელ და აგრეთვე პირველ პროგიმნაზიულ კლასებში გაგრძელდება 1-დამ 10 სექტემბრამდე. ეგზამენები იქნება ყოველ-დღე, ნაშუადღევის 2 საათამდის.
თხოვნები უნდა გამოიგზავნოს პროგიმნაზიის უფროსის ელენე ბახტაძის სახელობაზე.
სწავლის საფასური მოსამზადებელში 30, ხოლო პროგიმნაზიულ კლასებში 50 მან. წელიწადში. (15—11)

შპალერების საწყობი
## ი. გ. მელიქიშვილისა
ტფილისი, სასახლის ქ. სათავ.-აზნ. სახლი № 102
ყოველთვის იშოვება მრავალი ხარისხის შპალერი
ფასი ყველაფერზე იაფია
შპალერი თვითო ნაჭერი 8 კაპ. მოყოლებული 20 მანათამდე
ოთახ-დარბაზების მოსართავი და გასაწყობი სამკაულები.

Депо обоевъ
## I. Г. МЕЛИКОВА
Тифлисъ, Дворцовая ул., д. Грузинскаго Дворянства (бывш. Арцруни) № 102, около муз. магаз. ЛАНКО. (100-44)

## ВИНОГРАДНЫЕ ПРЕССЫ
трехъ величинъ
и
## ВИНОГРАДНЫЯ МЯЛКИ
продаетъ торговый домъ
С. П. Павловъ и К°
Тифлисъ. Лорисъ-Меликовская улица № 6. Телефонъ № 349.
## პრესები ყურძნის დასაწურავად
სამი ნაირის ზომისა
იყიდება ს. პ. პავლოვისა და ამხ.
## სავაჭრო სახლში
ტფილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა № 6.
ტელეფონი №349. ტელეფონი № 349.
(15—8)

Ресторанъ «Южные номера» обѣды и ужины
ახლად გამართული რესტორანი
## „იუჟნი ნომერა"
ტფილისი, ბარონის ქუჩაზე
ყოველთვის იშოვება მშვენივრად და გემოიანად გაკეთებული
სადილ-ვახშამი და საუზმე
—— ხორაგი ყოველთვის ახალი და სუფთაა ——
რესტორანთან არის მრავალი კაბინეთები და ოთახები
იქვე მშვენიერს ბაღში აუზია ცოცხალის თევზებით
ფასი ყველაფრისა იაფია
(30—20) პატივისცემით ილია აბრამიშვილი
Ресторанъ «Южные номера» обѣды и ужины, дешевизна

!!ყველას საგულისხმოდ!!
31 მაისიდან მცხეთის სადგურის მახლობლად 200 საჟენის მანძილზე (ბეჟანოვის საგარაკოში)
სასეირნო ბაღი
## არმაზი
ბაღში იქნება მუდმივ ევროპიული და ადგილობრივი საჭმელ-სასმელი.
ავდრებისა და უამინდობის დროს ბაღში გამართულია ფარდულები და ოთახები.
ეზოში მშვენიერს აუზში სასმელი წყალია წყაროდგან,
ცოცხალი თევზები
ყველაფერი იაფად
მშვიდობიანობა და სიწყნარე ყოველთვის დაცული იქნება.
(40—38) ე. ჩხარტიშვილი

საზაფხულო თეატრი მადერისა
ოთხშაბათს, 2 სექტემბერს
ფოტოგრაფი ა. მ. მიშონი
უჩვენებს საზოგადოებას საქვეყნოდ განთქმულს
## კინემატოგრაფს
ლიუმიერის გამოგონებას და ინჟენერის I. Carpantier-ის შემუშავებულს, რომლითაც გადაღებულია მოძრავი სურათები, 5 საჟენის სიმაღლით.
სხვათა შორის აჩვენებენ რამდენიმე სურათს ტფილისის ცხოვრებიდან. დაწვრილებითი ცნობა აფიშებში იქნება.
დასაწყისი 9 საათზე

გამოვიდა და იყიდება, ქალაქის ყველა მაღაზიებში და ეკკლესიებშიაც, ცხოვრება წმ. ქალწულ მოწამისა
## მარინესი
(სურათით)
გამოცემა მორჩილის რ. ბარამძისა
ფასი ერთი შაური (10—9)

დოქტორი მედიცინისა და ქირურგი
## ბენკლევსკი
ავადმყოფებს ღებულობს დილის 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.
გრიბოედოვის ქუჩა, არშაკუნისეული სახლი № 30.
Докторъ медицинъы и хирургъ
## БЕНКЛЕВСКІЙ
Грибоѣдовская № 30, д. бывш. Аршакуни. (წ.)

სამკურნალო და ამბულატორია
## ს. გ. თოფურიასი
ქუთაისში.
სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი,
გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11

საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე· შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. ბ. თოფურია.** საქირურგო ავადმყოფობას და სიფილისს **ფ. კ. ბერრატი.**

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კოგანი.**

20 მაისიდამ—დედათა ავადმყოფობის და აკუშერობის D-r **ფ. ბაცევიჩი.**

თვალების ავადმყოფობას—**ი. კ. ვარშავსკი.**

ამბულატორიაში არის კაბინეტი, საექიმო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და საჟისთვის.

სამკურნალო დირექტორი ს. ბ. თოფურია.

*Лѣчебница С. В. Топуріа* въ Кутаисѣ.

# ახალი ამბავი

⁂ **დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე ყვირილაში.** ყვირილიდან გაზ. „ნოვ. ობ.“-ს აუწყებენ, რომ 26 აგვისტოს ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურნი, საგუბერნიო მარშლის თანამდებობის აღმასრულებელის თავ. დ. ო. ნიჟარაძის მეთაურობით, მიეგებნენ ყვირილის სადგურზე დიდ მთავარს მიხეილ ნიკოლოზის ძეს. მისმა უმაღლესობამ ჩვეულებრივი გულითადი და თავაზიანი მუსაიფი გაუმართა თავად-აზნაურთ და მათს წინამძღოლს, რომელიც მის უმაღლესობას გრძნობით სავსე სიტყვით მიეგება. მისმა უმაღლესობამ გულ-მხურვალედ მოჰხვია ხელი კავკასიის ჯარის მოხუც გენერალს ალმასხან ოტიას ძეს მიქელაძეს. მრავალი დამსწრე თავად-აზნაურთაგანი დიდმა მთავარმა სახეზე იცნო, გაიხსენა ძველი ნაცნობები და გამოიკითხა, როგორს მდგომარეობაშია გუბერნიის მეურნეობა. კერძოდ მის უმაღლესობას აინტერესებდა ფილოქსერით დაზიანებულ ვენახების მდგომარეობა. აშკარად სჩანდა, რომ მისი უმაღლესობა შორიდანაც თვალყურს ადევნებს ჩვენს ცხოვრებას.

⁂ **ტფილისის გუბერნატორი** გუშინ დაბრუნდა ბორჯომიდან ტფილისს სამსახურის გამო.

⁂ **ხიზნების საქმე.** როგორც ისმის, შინაგან საქმეთა, ფინანსთა და მიწად-მოქმედების მინისტრებს გადაჭრით უარი უთქვამთ ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა თხოვნაზე იმის შესახებ, რომ შემცირებულ იქმნეს იმ სასყიდლის რაოდენობა, რომელიც უნდა მიეცეთ ხიზნებს მათი ძალად გადასახლების დროს.

⁂ **საყურადღებო ხელ-ნაწერის აღმოჩენა.** ტფილისში აღმოჩნდა ერთი მეტად საყურადღებო ხელთ-ნაწერი, რომელიც შეეხება საქართველოს ისტორიას და გადაწერილია ამბროს ნეკრესელის მიერ, წიგნში მოთავსებულია სხვა-და-სხვა ისტორიული აღწერები და ზოგიერთი ადგილი დიდათ განირჩევა „ქართლის ცხოვრების“ მეორე ტომისაგან. ეს ხელთ-ნაწერი სულ ახალი ვარიანტია, უფრო გვიან და მშვენიერის ხელით დაწერილი.

⁂ **წიგნების ვაჭრობა დღეობებზე.** შუამთობის და ალავერდობისათვის ტფილისიდან კახეთში მიაქვთ ყველანაირი ქართული წიგნები. 1878 წ. ალავერდობა დღეს ქართული წიგნები გაყიდულა 3 მანეთისა, 1888 წ. გაყიდულა სახელმძღვანელო წიგნებით 12 მანათისა, ხოლო წელს რამდენი გაიყიდება, თავის დროზე ვაუწყებთ მკითხველებს. თითქმის ყოველნაირი წიგნები იქნება წაღებული.

⁂ **ნ. ნიკოლაძის წერილი.** გაზ. „ნოვ, ობოზ.“-ში მოთავსებულია ფოთის ქალაქის მოურავის ბ-ნ ნ. ნიკოლაძის წერილი, რომელშიაც პატივცემული მოღვაწე უარ-ჰყოფს აღნიშნულ გაზეთის მიერ გამოქვეყნებულ ცნობებს ფოთის ქალაქის საბჭოსაგან პორტისათვის 6 ათასი მანეთის გადადების შესახებ. ბ-ნი ნიკოლაძე ამტკიცებს, ფოთის ქალაქის საბჭომ გადასდო 6,000 მან. არა მარტო ჩემ სამ-გზავროდ უცხოეთის ნავთ-სადგურების დასათვალიერებლად, არამედ ნავთ-სადგურის მოსაწყობადაცაო. ხოლო ქუთაისის საგუბერნიო საკრებულომ არ შეიწყნარა ეს დადგენილება იმ მოსაზრებით, თითქო მინისტრთა კომიტეტის დებულების ძალით ფოთის თვით-მმართველობის სესხი მთლად და მხოლოდ ნავთსადგურის შინაგანი აუზის მოწყობას უნდა მოჰხმარდეს და არ უნდა დახარჯოს ისეთ საგნებზე, რომლებსაც კავშირი აქვთ ნავთსადგურის გაუმჯობესობასთანაო. ამ საგნის გამო ბ. ნიკოლაძე ამტკიცებს, რომ ნავთსაგურისათვის იარაღების შეძენა პორტის მოწყობის ერთ ნაწილს შეადგენს და ეს მინისტრთა კომიტეტის დებულებიდანაც სჩანსო.

შემდეგ პატივცემული ავტორი უარ-ჰყოფს იმ აზრს, თითქო მას ქალაქმა ისეთი საქმე მიანდო საზღვარ-გარეთ გაგზავნით, რომლის ასრულება შეუძლია არა ქალაქის მოურავს, ბ. ნიკოლაძეს, არამედ სპეციალისტ-ტეხნიკოსს; ავტორი ამტკიცებს, მე მომანდვეს მხოლოდ საქმის ეკონომიური მხარე, რომელსაც მე სავსებით შემიძლია გავუძღვეო. დასასრულ, ბ-ნი ნ. ნიკოლაძე ამბობს, რომ მის მგზავრობაზე 6,000 მანეთიდან ძლივს თუ მეოთხედი მეტი ფული დაიხარჯებაო და საზგადოდ „ნოვ. ობ.“ ზრდილობას ასწავლის...

⁂ **შ. არაგვისპირელის ახალი ნაწარმოები.** ჩვენ გავიგეთ, რომ ჩვენი ნიჭიერი ბელეტრისტი შ. არაგვისპირელი დრამასა სწერს ჩვენის თანამედროვე ცხოვრებიდანაო. ტემად დრამისა ჩვენებურის ცოლ-ქმრის დამოკიდებულება იქმნება.

⁂ **თავ. ი. გ. მაჩაბლის დაკარგვის გამო.** ქალაქში ბევრს დაუჟინია, რომ თავ. ი. გ. მაჩაბელი არ დამხრჩვალა, არამედ ცოცხალია და რომ მახლობელ პირთ იმედი აქვთ მოსძებნიან მას.

⁂ **საქმობა პოლიციის და გამგეობის მმართველობაში.** პოლიცმეისტრისა და ქალაქის გამგეობაში დღეიდგან ყოველ დღე ნაშუადღევის ორ საათამდე იქმნება ხოლმე მუშაობა. აქამდე კი მხოლოდ ნაშუადღევის პირველ საათამდე იყო მუშაობა.

⁂ **თავ. ჯორჯაძის საქმე.** როგორც მკითხველებმა უკვე უწყიან, ლორიის ზურგის ბატალიონის პორუჩიკს თ. ჯორჯაძეს, რომელსაც განჯის ხაზინის ბუჰღალტერის ლაზარევის მოკვლა ჰბრალდებოდა, სასამართლომ გადაუწყვიტა ენისეის გუბერნიაში გარდასახლება საცხოვრებლად. ეხლა მათმა უდიდებულესობამ ხელმწიფე იმპერატორმა ბრძანა, რომ ამ სასჯელის ნაცვლად თ. ჯორჯაძე დაპატიმრებულ იქმნას ექვსის თვით და და ამასთან ჩამოერთვას ზოგიერთი სამსახურით შეძენილი უფლება და უპირატესობანი.

⁂ **ქალაქის ახალ სკოლებში** დადგენილია მიღებულ იქმნეს მხოლოდ 50 მოწაფე; მაგრამ ამ სკოლებში შესვლის მსურველთა რიცხვი თურმე აუარებელია; მაგალ., მარტო ავლაბრის სკოლაში შესვლის სურვილი განუცხადებია 200-მდე კაცს.

⁂ **სკოლების კურთხევა.** გუშინ, 1-ლ სექტემბერს, აკურთხეს ქალაქის სამი პირველ-დასაწყისი სასწავლებელი: ვერისა, კუკიისა და ავლაბრისა. სწავლა ამ სკოლებში დაიწყება დღეიდან.

⁂ **მატარებელთა მოძრაობის დრო-ჟამი.** 15 ოქტომბრიდან შემოიღებენ ახალ საზამთრო წეს-რიგს სამგზავრო და საქონლის მატარებელთა მოძრაობისას. სამგზავრო მატარებელთა მოძრაობის მომავალი წეს-რიგი დიდათ არ განირჩევა ახლანდელისაგან.

⁂ **საქონლის მატარებლის დამსხვრევა.** 31 აგვისტოს 251 ვერსზე საქონლის მატარებლის ქვეშ ჩავარდა კამბეჩი, რომელმაც გადმოაგდო ლიანდაგიდამ ორთქლ-მავალი და ოთხამდე ნავთით სავსე ქვაბები და სულ მთლად დალეწა. ამის გამო სააგარაკო მატარებელი მთელი ღამე შეაჩერეს გორის სადგურში და ჩამოვიდა ტფილისში მხოლოდ დილის 11 საათზე.

საყურადღებოა, რომ ორთქლმავალი ყველა საქონელს სჭრის და მხოლოდ კამბეჩს ვერა, რომელიც ხშირად აძლევს რკინის გზას დიდს ზარალს.

⁂ **ახალ-სენაკი** (სამეგრელო). **უწესრიგობა დილიჟანებზე.** წასულ თვეებში მოგზაურობა მომიხდა დ. სენაკიდან ს. ცაიშში ადგილობრივი მემამულეთა საამხანაგო დილიჟანით, რომლის ბილეთი მქონდა ნაყიდი ერთ მანეთად.

დილიჟანში რვა კაცის ადგილია, ხოლო მოიჯარადრენი ხუთმეტ კაცსა სხამენ შიგ დილიჟანში და სახურავზე კიდევ სამ-ოთხ კაცსა. ახლა წარმოიდგინეთ შიგ რა ვიწროობა იქნება და ან ცხენებს რ[illegible] დღე დაადგებათ, მაგრამ ცხენ[illegible] მდგომარეობას ვინ იკითხავს, როდესაც მოგზაურს უარესი დღე ადგია...

ერთი არავინ გაჩენილა იმისთანა ხვთისნიერი, რომ რაიმე ყურადღება მიექცია მოიჯარადრეთა თავ-გასულობისათვის! მეორე ჩვეულება პირველზე უკეთესი ჰქონიათ: დაინახავენ ცოტა მეტ მუშტრებს თუ არა მაშინათვე ასწევენ ადგილის ფასს ორ მანათამდე, მაშინ როდესაც ადგილის ფასი არის, ოთხი აბაზი; მეტი რა გზა— უნდა მისცეთ რასაც მოითხოვენ, ხოლო ფასიც ადრევე ექნება ადგილის ფასი მიცემული ერთი მანეთი, იმას მოიყვანენ შუა გზაზე, ესე იგი ს. ხეთაში და დანარჩენის თხოვნას დაუწყებენ. მართლაც მე ადრე მქონდა ფასი მიცემული ერთი მანეთი და ჩემთან ორს სხვას, თავადიშვილებს მ— ნიას და ა— ძეს. ჩვეულებრივ ს. ხეთაში გააჩერეს დილიჟანი. კონდუხტორმა პირდაპირ მე მომართა და ვითა[illegible] დანარჩენი ფულების თხოვნა მიწყო, მე ძრიელ გამიკვირდა: ფულებს მთხოვენ-მეთქი, მაგრა[illegible] იმ ვაჟბატონმა ლაპარაკის ნებაც არ მომცა... ჩხუბის თავი არ[illegible] მქონდა და როგორც იყო გავისტუმრე 50 კ.; ახლა თავგასულმა კონდუქტორმა მიმართა ზემოხსენებულ თავადიშვილებს და დაუწყო დანარჩენი ფულების თხოვ[illegible] ერთს იმათგანს თავადიშვილს, მოეწონა კონდუქტორის უსამარ[illegible]ლო და უკანონო საქციელი უსაყვედურა: „რა ფულებს თხო[illegible]

ლობ როცა ბილეთი ვიყიდე და მაშინ სრულათ გადავიხადე და ჩვენზე არაფერი დარჩენილაო“. მაგრამ თავგასულმა კონდუქტორმა ამ კანონიერ შენიშვნაზე შეურაცხყოფა მიაყენა ზემოხსენებულ თავადიშვილებს. თავ. ა—ძე სწორედ მოთმინებიდან გამოვიდა და ის იყო თავხედ კონდუქტორომა კინაღამ თავი შეაკლა, მაგრამ როგორც იყო დიდის ხვეწნით და მუდარით დავამშვიდეთ სამართლიანად აღშფოთებული თავადიშვილი...

მაგრამ ყველა ერთნაირად ვერ მოითმენს აშკარა გლეჯა-ძარცვას და ერთხელაც იქნება მოხდეს სისხლის ღვრა და უბედურება.

ურიგო არ იქნება მიექციოს ყურადღება ვისიც ჯერ არს, და მოელოს ბოლო კონდუქტორის თუ მოიჯარადრეთა თავ-გასულობას და უდიერ საქციელს. საჭიროა დაწესდეს ადგილის გადაჭრილი ფასი ერთხელ და სამუდამოდ, ხოლო დილიჟანში მეტი ადგილის გაყიდვა არამც და არამც არ შეეძლოთ, როგორც ამის წეს-რიგი მოითხოვს. ნუ დაივიწყებენ მოიჯარადრენი, რომ ისინი არიან გაჩენილნი მგზავრთათვის და არა მგზავრნი მათვის.

წალენჯიხელი ვასილი მ—ია

** სოხუმი. ქართულად წირვა-ლოცვის ნების თხოვნა. თავის დროზე გაზეთებში მოხსენებული იყო, რომ გენერალ-ლეიტენანტის ქვრივმა დიდად პატივცემულმა კნეინა ალათი შარვაშიძისამ საქართველოს ეგზარხოსს მაღალ-ყოვლად სამღვდელო ფლაბიანესა სთხოვა, რადგან როგორც მე, ისე აქაურს მრევლსა მარტო ქართულად გვესმის წირვა-ლოცვა და აქაურს საკათედრო ტაძარში წირვა-ლოცვა, ეს ათი წელიწადია, ამ ენაზე არა სრულდება, მოიღეთ მწყემს-მთავრული მოწყალება და უბრძანეთ, რათა ყველასათვის გასაგებს ენაზე სწირონ და ილოცონ ხსენებულს ტაძარშიო. ამ დღეებში ამავე შინაარსის თხოვნა გაუგზავნეს მისს მეუფებას მთელის სოხუმის ქართველ მკვიდრთა. თხოვნაზე 300-ზე მეტს კაცს უწერია ხელი. არ უწერიათ ისეთებს, ვინც წერა არ იცოდნენ. ამავე საგნის შესახებ აქედგან ტფილისში წამოსვლას აპირობს ერთი ყველასაგან პატივცემული მცხოვრები სოხუმისა ბ-ნი პეტრე ბარკალაია, რომელმაც პირადად უნდა მოახსენოს მისს მეუფებას გაჭირებული ყოფა უწირავ-ლოცვოდ დაშთენილ ქართველთა. იმედი აქვთ, რომ მწყემს-მთავარი უნუგეშოდ არ დასტოვებს თვისთა სულიერთა შვილთა აჯა-ვედრებასა.

— მომავალი ქალაქის არჩევნები. თანახმად ქუთაისის საგუბერნიო საქალაქო საკრებულოს მოწერილობისა სოხუმის პოლიციამ უკვე შეაფასა ეგრედ-წოდებული „სასანიტარო ადგილები“, როგორც მკითხველებს მოეხსენებათ, ეს „სასანიტარო ადგილები“ შეიქმნა მიზეზად 1896 წლის ქალაქის არჩევნებისა. ამ სახით, მომავალ საქალაქო არჩევანებში სხვა მოქალაქეებთან ერთად კენჭი ექნებათ ამ ადგილების პატრონებსაც. პოლიციამ უკვე შეადგინა სია მომავალ ამომრჩეველთა და გამოუგზავნია ქუთაისის საგუბერნიო საქალაქო საკრებულოს დასამტკიცებლად. მაგრამ ამ სიის დამტკიცება მხოლოდ მაშინ მოხდება, როცა პეტერბურგიდან მიიღებენ უმაღლეს ნებართვას 1896 წლის არჩევნების დარღვევისას. ხოლო ამ ნებართვას კი მოელიან არა უადრეს ერთის თვისა. იმის შემდეგ სამი თვე ვადაა საჭირო იმ დღიდან, რა დღესაც ამომრჩეველთა სია დაიბეჭდება. ასე რომ, მომავალი არჩევნები იქნება არა ადრენ 1899 წლის იანვრისა.

მომავალ ქალაქის თავად ასახელებენ ცნობილ საზოგადო მოღვაწეს თავ, ვლადიმერ მიქელაძეს.

სოხუმელი

** ს. ღანირი (ქვემო იმერეთი). გზის უვარგისობა. ჩვენს სოფელს მდებარეობა დიახაც, რომ კარგი აქვს და ქალაქებთანაც ახლო არის, მაგრამ ღანირში დღემდე, როცა წვიმა მოვიდოდა, კაცისთვის გავლა ძრიელ ძნელი იყო: ისეთი დიდი ტალახი და წყალი დადგებოდა, რომ ხანდისხან ბედაურსაც გაუჭირდებოდა გავლა. ამის გამო ძრიელ შეწუხებული იყო აქაური მცხოვრები და აგრეთვე გამვლელ-გამომვლელიც. ახლა ჩვენს სოფელს ბედმა გაუღიმა. ახალმა მამასახლისმა ბ. ჭელიძემ, დადგა თუ არა მარიამობისთვე, გამოუცხადა ხალხს: ვინც თავიანთ კარებზე გზას არ გააკეთებს, იმას გავგზავნი სხვა ქვეყნებში გზების საკეთებლადაო, გამოიწვია მუშები და ეს ოცი დღეა თვითონ თავისი მოხელეებით მთელი დღე მუშებს ადგია თავზე და აკეთებინებს გზას. ამ ოცი დღის განმავლობაში ისე მოკირწყლეს გზები, რომ რამდენსამე წელიწადს გაკეთება არ მოუნდებათ. ვუსურვებთ ახალ მამასახლისს ბ. ჭელიძეს რომ სხვებსავით არ მოეწყინოს თავისი მოვალეობის აღსრულება, თორემ ღანირში ბევრჯერ გვინახავს ახლად ამორჩეულის მამასახლისისაგან პირველად თავის გამოდება, მაგრამ შემდეგ, როცა მისთვის მიუმართავს ხოლმე გლეხკაცობას რაიმე საქმისთვის, მას დუქანზე მიუშვერია ხელი და „ტიკშია სამართალიო“, უთქვამს.

ივანე მიქაძე

## თეატრის მატიანე

ს. ვეჯინი (კახეთი). მისაბაძი საქმე. 1 აგვისტოს აქ სცენის მოყვარეთაგან წარმოდგენილ იქმნა აქაური სკოლის სასარგებლოდ ა. ცაგარლის 2 მოქ. კომ. „ბაიყუში“ და 1 მოქ. კომ. ვ. გუნიასი „ჩათრევას ჩაყოლა სჯობია“. ხალხი ბლომად დაესწრო; მოთავედ ზ. აბაშიძე იყო, მოთამაშეთაგან თავი ისახელეს—„ბაიყუში“ თ. ანდრონიკაშვილისამ თალიკოს როლში, მ. სავიცკიმ—რევაზ თავქარიანის როლში; ბერიძეც კარგი იყო. მეორე კომედიაში დ. კოპაძემ.

წარმოდგენის შემდეგ მ. ბერიძის ლოტბარობით იმღერეს: „ლაშქართ წასვლა მას უხარის“, „პაპა მევავდა მეომარი“ და „ცანგალა და გოგონა“. სიმღერებს მოჰყვა ლეკური.

წარმოდგენას დაესწრო ადგილობრივი ბოქაული თავ. ჯორჯაძე, რომელსაც მოთავემ მთელი შემოსავლის ფული გარდასცა და რომელიც თავის დროზე გამოაცხადებს ამ ფულის რაოდენობას. წარმოდგენამ შთაბეჭდილება იქონია განსაკუთრებით გლეხებზე, რომელთაც ძლივს დაინახეს, რომ წარმოდგენა მარტო ვისიმე საგლეჯსაყვლეფი წყარო კი არ არის,—სარგებლობასაც მოიტანს ხოლმე. ისინი დაიმედებულები არიან, რომ ამ შემოსავლით მათთვე ეშველებათ, იმათ შვილებს წიგნებს უყიდიან სინიდისიერნი გამგენი ამ სასარგებლო საქმისა და სხ.

დიდი მადლობის ღირსნი არიან, როგორც მოთავე ზ. აბაშიძე, აგრეთვე ყველა მოთამაშენი, ვინც მონაწილეობდა წარმოდგენაში.

ვინმე გურჯანელი

## სხვა-და-სხვა ამბავი

სამხედრო ხარჯების ზრდა. 1865 წლიდან სამხედრო ხარჯებს შემდეგი სახით უმატნია ევროპაში. ამ წელს მთელი ევროპის სამხედრო თანხა უდრიდა ორ მილიარდს და 574 მილიონ ფრანკს. ათი წლის შემდეგ, 1875 წ. ეს თანხა გაიზარდა სამ მილიარდ 264 მილიონამდე, ამის მიზეზი იყო 1870—1871 წლების ომი საფრანგეთსა და გერმანეთს შორის, მაგრამ შეიარაღების ცვლა-ცვლება ამაზე არ შესრულებულა. ხუთი წლის შემდეგ, სამხედრო თანხამ კიდევ იმატა 563 მილიონით; ეს გამოიწვია 1877—1878 წწ. ომმა. ყველა სახელმწიფოები ერთმანეთს ეცილებოდნენ ხარჯების მომატებაში და 1887 წ. სამხედრო თანხა უდრიდა 4 მილიარდსა და 221 მილიონს. ამ ჟამათ ეს თანხა მალე ავა 5 მილიარდზე. გარდა ამისა, ვინ იცის, რავდენი გამოურკვეველი ზარალი მისცემია ევროპას თვით ომების დროს.

## დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

30 აგვისტო.

ჟენევა. 29 აგვისტოს, შუადღისას, ნავთ-სადგურზედ, „ბორივაჟის“ სასტუმროს მახლობლად იტალიანელმა ანარქისტმა ავსტრიის იმპერატრიცას ხანჯალი დასცა. იმპერატრიცა მაშინვე გარდაიცვალა ისე, რომ გონს არც კი მოსულა.

მადრიდი. კაბინეტი უეჭველად გადადგება.

ლონდონი. „ტიმეს“-ს დეპეშით ატყობინებენ პეკინიდან: „ლი-ხუნ-ჩანი ჯერ-ჯერობით კიდევ ასრულებს დიდის მდივნის თანამდებობას- უთუოდ ლი-ხუნ-ჩანი თვითონ დაასწრობს დათხოვნას და სამსახურს დაანებებს. ამბობენ, ვითომ ლი-ხუნ-ჩანმა ცზუნ-ლი-იამენი შეცდომაში შეიყვანაო“.

ჟენევა. საღამოზე იმპერატრიცას მკვლელმა ლუკკენმა გამოუცხადა გამომძიებელს: ჟენევაში იმიტომ მოვედი, რომ რომელიმე წარჩინებული კაცი მომეკლაო. წინად აზრადა მქონდა მომეკლა ერცოგი ორლეანელი, მაგრამ შემდეგ, ზოგიერთის მიზეზებისა გამო, ამ განზრახვას თავი დავანებე. ის ამბავი, რომ იმპერატრიცა ელისაბედი ჟენევაში იყო, შემთხვევით შევიტყე. მკვლელობა მოხდა Mout Blanc-სა და სასტუმროს შუა, ჰერცოგის ბრაუნ შვეგელის ძეგლის მახლობლად. მკვლელი, რომელსაც თან ვიღაც გძელ წვერა მოხუცი მისდევდა; იმპერატრიცასკენ გაემართა, უცბად მიჰვარდა და მახვილი დასცა. პირველად ეგონათ, რომ მუშტი შემოჰკრაო. იმპერატრიცა, გამვლელთა და იმ ქალის დახმარებით, რომელიც თან ახლდა, ფეხზე წამოდგა, მაგრამ რა წამს გემზედ ავიდა, იმ წამსვე გონება დაჰკარგა. რადგანაც იმპერატრიცა გონს ველარ მოიყვანეს, ამასთან სისხლიც შეამჩნიეს, გემი უკან დაბრუნდა. ნაპირზედ ავადმყოფი ხელად მომზადებულ ტახტზედ დასდეს და სასტუმროში წაიყვანეს. იმპერატრიცა ნაშუადღევის 3 საათზედ გარდაიცვალა. მკურნალთა გამოკვლევამ აღმოაჩინა, რომ მკვლელს ხანჯალი უხმარია. დაუკრავს რა ხანჯალი, მკვლელი გაქცეულა, მაგრამ ორს

მეეტლეს, რომელთაც მკვლელობა დაუნახავთ, შეუპყრიათ და პოლიციისთვის გარდაუციათ. მკვლელი ხმა-ამოუღებლივ გაჰყოლია პოლიციელებს.

**რეტიმო.** ყანდია აჯანყებულ მეამბოხეთა ხელშია. სახელმწიფოთა ჯარი ციხეშია, რომელსაც ბაში-ბუზუკები ახვევიან. ნავთ-სადგურში სდგას საერთა შორისო ესკადრა. 1,000 მცხოვრებელთაგან 300-სმა მოასწრო და გემებს შეაფარა თავი, 300-სმა ქალაქს თავი მიანება, დანარჩენი ამოსწყვიტეს. ქალაქისკენ მოდიან მახლობელ პროვინციებიდგან შეიარაღებული ქრისტიანენი. ამბობენ, რომ ინგლისელები სხვა ერთა დახმარებით სასტიკ ზომებს მიიღებენო. ქალაქში წესიერება არ იქმნა დარღვეული, რადგანაც რუსებმა მაშინვე თადარიგი დაიჭირეს. კრებას, რომელსაც დაესწრნენ ოსმალოთა მოხელენი, მაჰმადიანთა სამღვდელოება, ნოტაბლები და მახლობელ პროვინციების მაჰმადიანნი, ადმირალმა სკრიდლოვმა ურჩია ყოველი ღონე იღონეთ, რომ მაჰმადიანთ წესიერება დაიცვანო. მაჰმადიანთა წარმომადგენელნი დაჰპირდნენ დახმარებას. ამასთან სთხოვეს, ჩვენს გაჭირვებულს მდგომარეობას ყურადღება მიაქციეთო. იმედი აქვთ, რომ წესიერება დაცული იქმნება. შეიძლება დიდი არეულობა მოჰყვეს იმას, თუ ქრისტიანეთ უარი განაცხადეს და და დროებით გამგეობა არ მიიღეს. რუსეთიდგან ჯარს მოელიან.

31 აგვისტო

**კანეა.** ინგლისის ორმა სამხედრო ხომალდმა ჯარი ყანდიაში გადაასხეს. კანეაში მშვიდობიანობაა.

**ბერნი.** იმპერატრიცას მკვლელი ლუკკენი დაბადებულია პარიზში, ხოლო შთამომავლობით პარმიელია. იგი განსამართლებულ უნდა იქმნეს ჟენევაში მომქმედ სისხლის სამართლის კანონებით, რომლითაც ამისთანა დანაშაულისათვის სიკვდილით დასჯა კი არა, სამუდამო საპატიმრო დადგენილი. პარიზის პოლიციას არავითარი ცნობები არ მოეპოვება ლუკკენის შესახებ, ხოლო იგი კარგად იცნობდა ვიღაც ნიკეზი-ლუჩეზის, „რავაშოლად“ წოდებულს, სტუდენტს, 1875 წ. დაბადებულს, რომელსაც ბოლონიის პოლიცია დიდი ხანია დაეძებს, ვითარცა საშიშ ანარქისტს. მაინც-კი შესაძლებელია, რომ იგი არ იყოს იმპერატრიცას მკვლელი.

**პარიზი.** „ჰავასის სააგენტომ“ გამოაქვეყნა შემდეგი: „გენერალმა ცურლინდენმა გარდასცა სარიენს dossier-ი დრეიფუსის შესახებ თავისის დასაბუთებულ და საბოლოო აზრითურთ. ორშაბათს შეიკრიბება მინისტრთა საბჭო და საბოლოოდ მოილაპარაკებენ, თუ რა გარდაწყვეტილებას უნდა დაადგეს.

**ჟენევა.** იმპერატრიცა შვეიცარიაში ჩამოვიდა სულ რამდენისამე დღის წინად და პირველ ხანს კოიში სცხოვრობდა, ხოლო შემდეგ ჟენევას მოვიდა. ფარულის სახელით ეწვია რა ბარონ როტშილდის მეუღლეს, იგი კოიშივე დაბრუნებას აპირებდა. იმპერატრიცას ამალა უკვე წასული იყო კოიში ასე, რომ იმპერატრიცას ახლდა ერთი სეფე-ქალი და ერთიც ხელის მოსამსახურე, როდესაც პოლიციის კომისარმა ობერმა გამოჰკითხა, მკვლელმა განაცხადა, რომ ჟენევაში მოვედი, რადგან იმედი მქონდა ორლეანის პრინცს აქ მოვესწრებოდიო, ხოლო რადგან იგი წასულიყო და აღარ ჩამოვიდა, ევთანში წავედი, სადაც კვლავ იმედი მქონდა შევხვდებოდი პრინცსაო. რაკი დავრწმუნდი, რომ ჩემი მოლოდინი შემცდარი იყო, ჟენევაში დავბრუნდი და იქ წავიკითხე, რომ იმპერატრიცა მოდის ქალაქშიო. რადგან შემთხვევა მქონდა იმპერატრიცას ბუდაპეშტში ნახვისა, ამიტომ სდვილად შემეძლო თვალყური მედევნებინა. პარასკევს ყოველს იმისს ნაბიჯს თვალ-ყურს ვადევნებდი, მაგრამ ვერსად მოვიხელე. შაბათს ადრიან დილითვე თვალ-ყურს ვადევნებდი, რაც ამბავი იყო „Reau Riffaqe“-ს სახლს. ორის ნახევარზედ შევნიშნე, რომ მოსამსახურე გამოვიდა და Mont Blanc-ის ნავთ-სადგურისაკენ წავიდა. ამითი ვცანი, რომ იმპერატრიცა გემით აპირებდა წასვლას. სასტუმროს პირდაპირ დავდექი ხეების მოფარებით და დავუწყე ლოდინი იმპერატრიცას, იმპერატრიცაც მალე გამოჩნდა, თან მხოლოდ სეფე-ქალი მოსდევდაო. დანარჩენი უკვე ცნობილია. ჩვენების დროს ლუკკენი მეტად ურცხვად და თავხედად იქცეოდა.

**პარიზი.** „Figaro“ და „Matin“-ი შესაძლებლადა სთვლიან განაცხადონ, რომ ცურლინდენი წინააღმდეგია დრეიფუსის საქმის ხელახლად განხილვისა და სამსახურს თავს დაანებებს, თუ მისნი ამხანაგნი იმისს აზრს არ დაეთანხმნენო. „Matin“-ი დასძენს, რომ რაკი ასეა, სამხედრო სამინისტროს გამგეობას ბრისონი ჩაიბარებს და იგივე იკისრებს გადასინჯვის პასუხის-მგებლობასაო.

**ბერნი.** იარაღი, რომლითაც იმპერატრიცაა მოკლული, ხარაზის მახათია.

**ვენა.** განკარგულებაა გაცემული, რომ უკანასკნელი საეკკლესიო წესი იმპერატრიცას 3 სექტემბერს გ. ადაუხადონ, 4 სექტემბერს კუბოში ჩაასვენებენ, ხოლო ხუთ სექტემბერს მიწას მიაბარებენ.

ნიხრი,

დამტკიცებული 12 აგვისტოს

| | | | |
|---|---|---|---|
| ძროხის ხორცი 1 ხარისხ. | | 7 | კ. |
| სუკი გირვანქა | „ „ | 12 | კ. |
| ცხვრის ხორცი | „ „ | 8 | კ. |


# განცხადებანი

იყიდება

„ცნობის ფურცლის“ რედაქციაში

იაფ-ფასიანი

სახალხო გამოცემანი:

| | | |
|---|---|---|
| თავ. ილია ჭავჭავაძე | 2 | კ. |
| ალექსანდრე ემისკუბოსი | 3 | „ |
| სპარსეთის მეფე და ქართველი ტყვე | 2 | „ |
| პატარა ბიბლიოთეკა | 2 | „ |

ვინც ას ცალს გამოიწერს, მანეთზე დაეთმობა ორი აბაზი.

მსურველნი მიჰმართავენ „ცნობის ფურცლის“ რედაქციას. (30—8)

ახლად გახსნილი

# სტამბა „ცნობის ფურცლისა“

ტფილისი, სასახლის ქ., სათავად-აზნაურო ქარვასლაში №№ 119 120 და 121

სტამბა ყოველისფრით სავსე და მოწყობილია

ყოველგვარი საქმე სრულდება სწრაფად. სუფთად და იაფად.

სტამბა ასრულებს აგრეთვე პროვინციის მცხოვრებთა შეკვეთას, მსურველნი მიჰმართავენ სტამბას, რომელიც კისრულობს ხელ-ნაწერების აწყობას, დაბეჭდვას, ქაღალდის ყიდვას, კორექტურას, ენის შესწორებას, საცენზუროდან ნება-რთვის აღებას და სხ.

ჰბეჭდავს სავიზიტო ბარათებს სხვა-და-სხვა გვარ ქაღალდზე ვაჟებისა და ქალებისათვის იაფად და შნოიანად.

ВО ВНОВЬ ОТКРЫТОЙ

# ТИПОГРАФІИ „Цнобисъ Фурцели“

В. Л. ГУНІА

Тифлисъ, Дворц. ул., д. Грузинскаго Дворянства.

Исполняются всевозможные заказы на всѣхъ Туземныхъ и Европейскихъ языкахъ

**Дешевизна, изящество и быстрота исполненія**

# КУРСЪ БУХГАЛТЕРІИ,

состоящій изъ слѣдующихъ предметовъ:

1) **Бухгалтеріи** двойной итальянской по разнымъ отраслямъ тортовой промышленности,
2) **Коммерческой ариөметики** (банковыя и торговыя операціи),
3) **Ариөметики на счетахъ.**
4) **Коммерческой экономіи,**
5) **Торговыхъ и вексельныхъ узаконеній.**

преподаетъ **И. Я. БРОНЪ ФОНЪ-БРЕННЕРЪ, гл. бухгалтеръ общ. взаимн. с. хоз. кредита и препод. школы садоводства.**

Плата за весь курсъ 60 руб.

**Курсъ 3-мѣсячный**, при ежедневныхъ занятіяхъ въ теченіе 2-хъ часовъ, по вечерамъ. Начало занятій—1-е число каждаго мѣсяца.

**Аттестаты за успѣшныя занятія отъ реальнаго училища и школы садоводства.**

Составленная И. Я. Бронъ фонъ-Бреннеръ книга «Коммерческая ариөметика» содержитъ въ себѣ VII отдѣловъ: 1) ариөметич. вычисленія на счетахъ, 2) монетныя вычисленія, 3) товарныя сдѣлки, 4) вексельныя операціи, 5) торговыя товарищества, 6) банки и ихъ операціи, 7) биржевыя операціи (520 задачъ и таблицы). Цѣна 2 руб. **Продается во всѣхъ книжныхъ магазинахъ и у автора: Михайловская ул., № 71, и Барятинская, сельско-хоз. банкъ.**

(100—42)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 1 Сентября 1898 г. სტ. „ცნ. ფურც.“ (ვ. გუნიასი), რედაქტორ-გამომცემელი ვ. გუნია